ეკონომიკური ტრანსფორმაციის ასპექტები პოსტსოციალისტურ საქართველოში

მიხეილ ძაგანია
სტუ-ს დოქტორანტი

ტრანსფორმაცია ყველა ტიპის საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ნიშანია, იგი სხვადასხვა დოზით და სიჩქარით ყოველთვის თან ახლავს საზოგადოების არსებობას. იგი არის პროცესი, რომელიც მუდმივ ცვლილებებსა და გარდაქმნებს გულისხმობს, თუმცა ტრანსფორმაციის ერთიანი, ყველასათვის მორგებული განსაზღვრება არ არსებობს. აღნიშნული საკითხის შესწავლისას აუცილებელია ისეთ ფაქტორებზე დაკვირვება, როგორიც არის ამა თუ იმ ქვეყნის ტრადიციული თავისებურებები, პოლიტიკურ-მსოფლმხედველობრივი მიმართულებები, ზოგადად მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესები.

ეკონომიკური ტრანსფორმაციის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია ჩამოყალიბდეს ეფექტიანი ფინანსური და ფულად-საკრედიტო სისტემა. ასევე მნიშვნელოვანია შიდა თუ უცხოური ინვესტიციების მოცულობები. ტრანსფორმაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანია დასახელდეს ხელისუფლების პოლიტიკური ნების არსებობა. მოკლევადიან ფაქტორთა შორის აღნიშვნის ღირსია თავისუფალი ფასწარმოქმნის მექანიზმების შემუშავები და სხვ .

1990-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლა, მასში შემავალი წევრი ქვეყნებისთვის (განსაკუთრებით კი საქართველოსთვის) წარმოადგენდა უდიდესი ტრანსფორმაციის პროცესს, სადაც განსაკუთრებული სიმწვავით და სირთულით გამოირჩეოდა ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციის პროცესი. გადამწყვეტ ფაზაში შევიდა ორი უდიდესი საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემის - სოციალიზმისა და კაპიტალიზმის „ჭიდილი" და აუცილებელ რეალობად იქცა საბჭოთა სოციალისტური სისტემის რღვევის, მისი ორგანულად გარდაქმნისა და ახალი, პოსტინდუსტრიული დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის დაწყების საჭიროება, თუმცა სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით, ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებდა საქართველოს მხრიდან ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნა, რამაც უკიდურესად დაძაბა ურთიერთობა რუსეთთან, რომელიც საქართველოს ფულადი რესურსებითა და ელექტრომატარებლებით უზრუნველყოფდა. ყოველივე ამას ჯაჭვური რეაქციით მოჰყვა საბჭოთა ქვეყნებთან საქართველოს ეკონომიკური კავშირების რღვევა. აღნიშნულმა გარემოებებმა ერთობ დაამძიმეს საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა, რასაც 1991-94 წლებში ეროვნული მეურნეობის სიცოცხლისუნარიანობის მკვეთრი დაქვეითება მოჰყვა. მყისიერად შემცირდა ეკონომიკური აქტივობის ტემპები, ქვეყანა მოიცვა მასობრივმა უმუშევრობამ, ადგილი ჰქონდა ჰიპერინფლაციას, საქონლისა და მომსახურების უკიდურეს სიმწირეს, რამაც საერთო ჯამში მოსახლეობის ცხოვრების დონის დაქვეითება გამოიწვია. კერძოდ:

- 1993 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება საქართველოში კრიზისამდელი 1990 წლის დონესთან შედარებით 48.8%-მდე დაეცა;
- 1994 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობამ 1990 წლის დონის მიმართ 27.5% შეადგინა;
- 1995 წელს მრეწველობის პროდუქციის დონე 1990 წლის ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 12.9% იყო;
- 1993-1995 წლების ინვესტიციების მოცულობა 1990 წლის ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 2.8%-ს შეადგენდა.

ამ პერიოდისთვის ქვეყანაში არ არსებობდა ინსტიტუციები, რომლებიც შეძლებდნენ საბაზრო ეკონომიკის პრინციპების სრულფასოვან დანერგვას და მის განვითარებას, აუცილებელი იყო ისეთი ეკონომიკური კატეგორიებისა და ინსტიტუტების ფორმირება და სტაბილ-

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

ური ფუნქციონირება როგორიცაა: თავისუფალი ბაზარი, კერძო საკუთრება, საკუთარი ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემების ფორმირება, პრივატიზაცია, საერთაშორისო ვაჭრობის ეფექტიანი მექანიზმები და სხვ.

აღსანიშნავია, რომ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში არამარტო წმინდა ეკონომიკური ფაქტორები, არამედ მძიმე პოლიტიკური ვითარება (უკიდურესად დაძაბული ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან, სამოქალაქო ომი); კიდევ უფრო ართულებდა პოსტსოციალისტური გარდაქმნის პროცესს.

პრობლემას ქმნიდა ასევე ისიც, რომ ქვეყანაში ძალზე მწირი იყო პოსტსაბჭოთა პერიოდში ეკონომიკური პროცესების მართვის გამოცდილება.

1. ეკონომიკური ტრანსფორმაციის „შოკური თერაპიის" მეთოდი

ნებისმიერი სისტემის ცვლილება დაკავშირებულია სხვადასხვა სახის ობიექტური თუ სუბიექტური ხასიათის ფაქტორების ურთიერთქმედებასთან. იმისათვის, რომ აღნიშნული სისტემური ცვლილება გარკვეულ კალაპოტში მოექცეს და მართვადი გახდეს, აუცილებელია შემუშავებულ იქნეს ინსტრუმენტები (გზები) იმისათვის, რომ ტრანსფორმაციის პროცესი იყოს ეფექტიანი და მეტი კეთილდღეობის მომტანი საზოგადოებისთვის.

რაც შეეხება პოსტსოციალისტურ ტრანსფორმაციას, მეცნიერები ძირითადად გამოყოფენ ორ მეთოდს, პირველი ეს არის ცვლილებების მყისიერად (რადიკალურად) განხორციელება - ე.წ. „შოკური თერაპია". პოსტსოციალისტური გარდაქმნების მეორე გზა არის ცვლილებების (რეფორმების) ეტაპობრივი განხორციელება ანუ ე.წ. გრადუალიზმი (გრადუალ - თანდათანობითი). როგორც ჩანს სხვაობა ამ ორ მიდგომას შორის განისაზღვრება დროისა და ასევე საჯარო ინსტიტუტების არსებობის მიხედვით, ანუ რამდენადაც მოკლე დროში განხორციელდება პროცესი, იმდენად იქნება იგი „შოკური თერაპიის" ბუნების მატარებელი და პირიქით, რაც უფრო ნელი და თანმიმდევრული იქნება გარდაქმნის პროცესი, მით უფრო ექნება მას გრადუალიზმის ნიშნები, ასევე, თანდათანობითი ცვლილების პირობებში აუცილებელია ინსტიტუციების არსებობა. „შოკური თერაპიის" სრულფასოვან მაგალითად მიჩნეულია პოლონეთი, გრადუალიზმისა კი- უნგრეთი.

„შოკური თერაპიის" მეთოდის გამოყენება, როგორც ზემოთ აღინიშნა, უკავშირდება მყისიერ გარდაქმნებს, რაც მოკლევადიან პერიოდში უკიდურესად ამძიმებს სოციალურ ფონს ქვეყანაში, რის შედეგადაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა გაღატაკებული აღმოჩნდება. ეს მოვლენა შეისწავლება როგორც „ტრანსფორმაციული ვარდნა." შესაბამისად „შოკური თერაპიის" მეთოდის გამოყენება რეკომენდირებულია ისეთ გარემოში, სადაც იმდენად დაბალია საზოგადოების სოციალური მდგომარეობის მაჩვენებლები, რომ მოცემულ მომენტში „შოკური თერაპიით" გამოწვეული პრობლემები კიდევ უფრო მეტად ვერ აუარესებს ისედაც რთულ ვითარებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, „შოკური თერაპიის" გამოყენების მთავარი პრინციპია მაქსიმალურად მოკლე დროში განხორციელდეს მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური ცვლილებები, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პერიოდში შეიძლება სახელმწიფოს არ გააჩნდეს ის ინსტიტუციები, რომლებიც შეძლებდნენ მიმდინარე რეფორმების ეფექტიან განხორციელებას. აღნიშნული მიდგომა რეფორმის განმახორციელებლების მიმართ ხალხში იწვევს მათდამი ნეგატიური განწყობილების შექმნას.

„შოკური თერაპიის" მეთოდის გამოიყენების ძირითადი მიდგომები მდგომარეობს შემდეგში:

- ფასების ლიბერალიზაცია;
- სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაცია;
- ბიუროკრატიის ოპტიმალურად შემცირება;
- ბიუჯეტის დეფიციტის ლიკვიდაცია;
- მკაცრი მონეტარული პოლიტიკასხვა.

„შოკური თერაპია" ეყრდნობა 1989 წელს აშშ-ში მიღებული „ვაშინგტონის კონსენსუსის" პრინციპებს, რასაც ეფუძნება ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდი. „შოკური თერაპიის" მეთოდი პირველად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამოყენებულ იქნა გერმანიაში, შემდგომ პერიოდში უფრო მეტი წარმატებით იგი განხორციელდა პოლონეთში, ასევე აღნიშნული მიდგომის რეალიზაცია მოხდა იუგოსლავიაში, მაშინდელ ჩეხოსლოვაკიაში.

90-იან წლებში, როდესაც პოსტსაბჭოთა ქვეყნებს (მაგ, საქართველო და სხვ.) არ გააჩნდათ საკუარი რესურსი რეფორმების განხორციელებისთვის, ამისთვის როგორც წესი, ისინი მიმართავდნენ საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებს (უმთავრესად საერთაშორისო სავალუტო ფონდს, მსოფლიო ბანკს), რომლებიც ქვეყანას სთავაზობდნენ თავიანთ რეკომენდაციებს და შეთანხმების შემთხვევაში გამოუყოფდნენ შესაბამის ფინანსრურ სახსრებს. ქართველ და უცხოელ ექსპერტებს შორის დღემდე არსებობს

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, ყოველთვის იყო თუ არა საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციები კვალიფიციური და ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის ნეიტრალიზების ეფექტიანი ინსტრუმენტი.

2. ეკონომიკური ტრანსფორმაციის „გრადუალისტური" მეთოდი

რაც შეეხება ტრანსფორმაციის მეორე გზას - თანდათანობით ცვლილებებს, აღნიშნული მეთოდი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ქვეყანაში პოლიტიკური მდგრადობის გარანტია. ანუ ეტაპობრივი ინსტიტუციური ცვლილებების დროს (რომელიც დროში გაწელილი პროცესია) აუცილებელია გრძელვადიანად შენარჩუნებულ იქნეს რეფორმების აღებული კურსი. მეორე ფაქტორი, რომელიც უნდა არსებობდეს გრადუალისტური მიდომის ეფექტიანად განხორციელების დროს, ეს არის ფინანსური რესურსი, რათა შესაძლებელი გახდეს შესაბამისი ინსტიტუტების ჩამოყალიბება და რეფორმების წარმატებით რეალიზება.

ეტაპობრივი (თანდათანობითი) რეფორმირების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ჩინეთი, სადაც გარკვეული ფორმით შენარჩუნდა კომუნისტური რეჟიმი, თუმცა კერძო საკუთრების უფლება დაშვებულ იქნა. რეფორმების წარმატებულობაში იქ დიდი როლი შეასრულა ქვეყანაში პოლიტიკურმა მდგრადობამ, რაც თანდათანობითი ცვლილებების ერთერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. ლოგიკურია,რომ ჩინეთის პრაქტიკა 90-იან წლებში საქართველოსთვის მაგალითად ვერ გამოდგებოდა, რადგან ჩვენს ქვეყანაში პოსტსაბჭოთა პერიოდი უდიდესი პოლიტიკური კატაკლიზმების და ეთნოკონფლიქტების ფონზე მიმდინარეობდა. გარდა ამისა, საქართველოსგან განსხვავებით, ჩინეთში ძალზე დიდი იყო შიდა ინვესტიციების წილი (თითქმის 40%), რაც ქვეჟნის სწრაფი ეკონომიკური განვითარების სერიოზულ წინაპირობას ქმნიდა.

გრადუალისტური მოდელის გამოყენების კარგ მაგალითად შეიძლება ასევე დასახელდეს უზბეკეთიც, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უზბეკეთი გამოირჩევა ნედლეულის სიმდიდრით: ოქრო, ნავთობი, ხორბალი, ბამბა. შესაბამისად შეიძლება დავასკვნათ, რომ უზბეკეთში მიმდინარე გარდაქმნების უპირატესობა მხოლოდ თანდათანობითი რეფორმებით არ იყო განპირობებული და ამ პროცესში საკმაოდ დიდია აღნიშნული რესურსების „წვლილი".

ამდენად, გამომდინარე ამა თუ იმ ქვეყანის რესურსული მარაგების სტრუქტურიდან და მოცულობიდან, პოლიტიკური ვითრებიდან და ა.შ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პროცესში გამოიყენება „შოკური თერაპიის" ან გრადუალისტური (თანდთანობითი გარდაქმნის) მეთოდი ან კიდევ მათი შეჯვარებული ნაირსახეობები. თუმცა დღემდე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ კონკრეტულ სიტუაციაშია ყველაზე ეფექტიანი „შოკური თერაპიის" პრინციპების გამოყენება და რა ეტაპზე შეიძლება ჩაენაცვლოს მას თანდათანობითი რეფორმების გზა.

3. ტრანსფორმაციის პერიოდში ეკონომიკური სფეროს მონეტარულ-ინსტიტუციური რეგულირების მიმოხილვა

საქართველოში ეკონომიკის მყისიერი გარდაქმნის („შოკური თერაპიის") მეთოდის გამოყენების განმაპირობებელ ძირითად ფაქტორს წარმოადგენდა რუსეთის ფედერაციის მიერ 1992 წლის იანვრის თვეში ფასების ლიბერალიზაციის გადაწყვეტილების მიღება, ეს ის პერიოდი იყო, როდესაც საქართველოს არ გააჩნდა ეროვნული ვალუტა და იგი კვლავ მანეთის ზონაში იმყოფებოდა და სწორედ ამ მიზეზების გამო მიღებულ იქნა ცვლილებების „შოკური თერაპიის" გზით განხორციელების გადაწვეტილება, რომლის ძირითადი მიზანი იყო მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა. ფასების ლიბერალიზაციით უნდა მომხდარიყო ფასების ბაზარზე წონასწორობის აღდგენა და პროდუქტებზე რეალური საბაზრო ფასის ჩამოყალიბება. აღნიშნული ღონისძიების შედეგად პროდუქტებზე დაფიქსირდა ფასების კატასტროფული ზრდა. სამომხმარებლო ფასების ინდექსი, რომელიც 1991 წელს 1.8-ს შეადგენდა, 1992 წელს ეს მაჩვენებელი 25-მდე გაიზარდა, (აქედან პურზე, როგორც კვების ერთერთ ძირითად პროდუქტზე 100-ჯერ), რასაც მოჰყვა ჰიპერინფლაცია. პარალელურა გაიზარდა საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასები, პენსიები, სხვადასხვა სახის შემწეობები, თუმცა მათი ზრდის ტემპები დიდწილად ჩამორჩებოდა სამომხმარებლო საქონელზე ფასების ზრდის ტემპს. ამ პერიოდში შეიზღუდა საქართველოში რუსული რუბლის გამოყენება, რასაც 1993 წლის აპრილში მოჰყვა დროებითი ფულის ნიშნის, კუპონის შემოღება, თუმცა ამ ფაქტმა ვერ დაარეგულირა ინფლაცია, 1994 წლის ბოლოს პურის ფასი კვლავ გაიზარდა 40%-ით.

სახელმწიფო უძლური აღმოჩნდა ინფლაციის ნორმალიზების საქმეში. მას ამისათვის არც ფინასრურ-ადმინისტრაციული რესურსები და არც გამოცდილება გააჩნდა და სწორედ ამ დროს საქართველომ დახმარებისთვის მიმარ-

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

თა საერთაშორისო ორგანიზაციებს: საერთაშორისო სავალუტო ფონდს და მსოფლიო ბანკს. აღნიშნული ორგანიზაციები ქვეყანას უწევდნენ როგორც მეთოდოლოგიურ, ასევე ფინანსურ დახმარებას. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ექსპერტის აზრით, ზემოთ ხსენებული ორგანიზაციების წარმომადგენლთა რჩევა-დარიგებანი ხშირად არაკომპეტენტური და ზედაპირული იყო, უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან ურთიერთობის შემდეგ საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბულურობა რამდენადმე გაუმჯობესდა. ქვეყანაში შეიქმნა საბაზრო ეკონომიკისთვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზა, ჩამოყალიბება დაიწყო კერძო საბანკო სექტორმა, ძირითადად დამთავრდა „მცირე პრივატიზაციის პროცესი", შემოღებულ იქნა საკუთარი ეროვნული ვალუტა - ლარი.

ამრიგად, 1994 წლიდან იწყება ეკონომიკის სტაბილიზაციის წანამძღვრების ჩამოყალიბება, რაც გამოიხატა:

1. ფულის სფეროში: ფასების ლიბერალიზაციით, ფასწარმოქმნის მექანიზმის ეკონომიკის ძირითად რეგულატორად გადაქცევით, ჰიპერინფლაციის დაძლევით, ეროვნული ვალუტის შემოღებით.

2. დოვლათის წარმოების სფეროში: წარმოების ღრმა დაცემის შემდეგ, კრიზისის ფაზიდან გამოსვლა, 1995 წელს დროში გაწელილი „შოკური თერაპიის" სქემის შემდეგ ხუთწლიანი ეკონომიკური ვარდნა შეიცვალა ზრდით;

3. ინსტიტუციური გარდაქმნების სფეროში: საბაზრო ურთიერთობების ძირითადად ჩამოყალიბება, მნიშვნელოვანი იყო ფირმის დაფუძნების თავისუფლების დამკვიდრება, საკუთრების განსახელმწიფოებრიობის პროცესის დაწყება და მცირე პრივატიზების პროცესის ჩატარება, კერძო სექტორის ჩამოყალიბება, კრედიტის აღების უფლების შემოღება, საკუთრების, თავისუფალი ფასწარმოქმნის, კონკურენციის პირობებში სახელმწიფო გარანტიის დაკანონება. საბანკო და საგადასახადო სისტემის საფუძვლების ფორმირება, საქონლის, შრომის ბაზრების ფუნქციონირების დაწყება, საბაზრო ურთიერთობების სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფა .

თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ზემოთაღნიშნულ სფეროებში შექმნილი ინსტრუმენტები მნიშვნელოვან დახვეწას მოითხოვდა ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო შესაცვლელი იმისათვის, რომ ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესი წარმართულიყო უფრო მეტი ეფექტიანობით. აღსანიშნავია, რომ ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ქვეყანაში იყო უმძიმესი კრიმინოგენული ვითარება, ხშირი იყო ბიზნესმენთა გატაცების ფაქტები, სახელმწიფო ბიუროკრატიის უმრავლესი რგოლები კვლავ დაკომპლექტებული იყო იმ ადამიანებით, რომლებსაც პრაქტიკულად არ გააჩნდათ საბაზრო ეკონომიკის სფეროში საქმიანობის გამოცდილება, ასევე უდიდესი იყო ქვეყანაში რუსული გავლენების უარყოფითი როლი, რაც აფერხებდა ქვეყნის ტრანსფორმაციის პროცესებს.

ზემოთ აღნიშნული ეკონომიკის წინსვლის დინამიკა გაგრძელდა 3 წლის განმავლობაში, 1995 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი 3 პროცენტამდე, 1996-1997 წლებში კი წელიწადში საშუალოდ 10-11 პროცენტიანი ზრდით გამოიხატა, ლარის კურსი თბილისის ბანკთაშორის ბირჟაზე აშშ დოლართან მიმართებაში 1,25 დაფიქსირდა, რაც მყარად შენარჩუნდა შემდგომ გარკვეულ პერიოდში, აღნიშნული დინამიკა სწორი მონეტარული პოლიტიკის შედეგი იყო.

1998 წლიდან კვლავ პრობლემები შეინიშნება საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის (რეფორმირების) გზაზე, რამაც ასახვა ჰპოვა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპეზე. აღნიშნული დინამიკა რაიმე პრინციპული პოზიტივების გარეშე „ერთფეროვნად" გაგრძელდა 2003 წლამდე.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 1992-1993 წლებში საქართველოში „შოკური თერაპიის" მეთოდის გამოყენებას მნიშვნელოვანი ეფექტი არ მოჰყოლია ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესში, რადგან საქართველოს არ გააჩნდა ტრანსფორმაციისთვის საჭირო ინსტიტუტები (პოლონეთის, ბულგარეთის, უნგრეთისან განსხვავებით), რომელიც კოორდინაციას გაუწევდა ეკონომიკის სფეროების მიხედვით რეფორმების პროცესს, შედეგად პროცესებს არათანმიმდევრული და სპონტანური ხასიათი ჰქონდა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით დადგა ფულად-საკრედიტო სფეროში. სერიოზული ხარვეზები იყო ასევე სახელმწიფო ქონების პროვატიზების პროცესში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პოსტსოციალისტური რეფორმების პროცესი მრავალი ნაკლოვანებით განხორციელდა. პრობლემა იყო არა თავად „შოკური თერაპიის", როგორც ინსტრუმენტის გამოყენებაში, არამედ საჭირო იყო ისეთი კომპლექსური და თანმიმდევრული გეგმის (მეთოდოლოგიის) შემუშავება, რომლის ფარგლებშიც ტრანსფორმაციის მყისიერი და თანმიმდევრული მეთოდების კომბინირებით შესაძლებელი იქნებოდა მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა, რაც სამწუხაროდ, საჭირო დოზით ვერ მოხერხდა.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

გამოყენებული ლიტერატურა

1. „თ.ბასილია, ა.სილაგაძე, თ. ჩიკვაიძე - „პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე"თბილისი, 2001.
2. ვ. პაპავა - „პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკფონომიკა" თბილისი, 2002
3. ლ.ბახტაძე - გარდამავალი ხანის ეკონომიკა თბილისი, 2006
4. ლ.ბალცეროვიჩი - თავისუფლება და განვითარება, თბილისი, 2004.
5. ლ.ბალცეროვიჩი - სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში, 2002 წ.
6. „ევახლოვდებით ევროპას? ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში" ეკონომიკური პრობლემების კვლევის ცენტრი, 2010.
7. ა.გრიშიკაშვილი, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები და ევროპული ინტეგრაცია, 2005წ.
8. „ეკონომიკის მარეგულირებელი ინსტიტუტების განვითარება საქართველოში". ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრი. თბილისი 2009.
9. „საქართველოს რესპუბლიკის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიანი პროგრამა", თბილისი, 1993
10. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითრების პირველი ინდიკატური გეგმა 1993-1995.
11. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" 1997წ.
12. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წ. №107 და 1994წ №520 დადგენილებები.
13. სოციალურ-ეკონომიკური გაჯანსაღებისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამა. 2001 წლის 10 მარტი.
14. www.azrebi.ge

ASPECTS OF ECONOMIC TRANSFORMATION IN POST-SOVIET GEORGIA

MIKHEIL DZAGANIA - PhD of GTU

The article is about the discussion of the economic transformation taken place in post-socialistic Georgia (the 90s), the state approaches ("Shock Therapy" and so-called "Gradualistic" Methods) applied in the mentioned period are analyzed and the effectiveness of their application has been evaluated, as well. The works discuss the issues of monetary-institutional regulation of the economic sphere in the transformation period.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com